არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრის" წესდება

სადამფუძნებლო დოკუმენტი
(არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის)
მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრი" (შემგომში ტექსტში საზოგადოება) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3. საზოგადოების სახელწოდება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრი."

1.4. სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
იურიდიული მისამართი : ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, 9 აპრილის ხეივანი N 15;
ელექტრონული ფოსტა: **potisocialuri@gmail.com**.

1.5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების ვალდებულებებისათვის.

1.6. საზოგადოების სტრუქტურა და შემადგენლობა.

საზოგადოების სტრუქტურაში შედის საზოგადოების შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

1.6.1. სოციალური კვლევა;

1.6.2. უპოვართა სასადილო;

1.6.3. სამედიცინო რეაბილიტაცია.

1.7. საზოგადოება საქმიანობის მიზნები და ამოცანები:

1.7.1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ღონისძიებების გატარება;

1.7.2. დაუძლურებულ და ლოგინსმიჯაჭვული ბენეფიციარების სოციალურ და სამედიცინო რეაბილიტაცია;

1.7.3. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების პროგრამების მომზადება, მათი განხორციელების კოორდინაცია, შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი, შეფასება და მიღება-ჩაბარება;

1.7.4. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განსახორციელებელი პროგრამების განხორციელების თაობაზე კოორდინირებული მუშაობა შესაბამის დაწესებულებებთან;

1.7.5. დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამების შესაბამისად სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება;
1.7.6. შეჭირვებული მოსახლეობის სოციალური ადაპტაციისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება;
1.7.7. საქმიანი კონტაქტების დამყარება არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;
1.7.8. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით შესაბამისი დაწესებულებებიდან სტატისტიკური მონაცემების მიღება-დამუშავება;
1.7.9. სოციალური მომსახურების პროგრამების ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
1.7.10. სოციალურ სფეროში სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციების განსახორციელებელ პროგრამებში მონაწილეობის მიღება;
1.7.11. მიზნების მისაღწევად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ახორციელებს სამედიცინო, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ პროგრამებს, ასევე ხელს უწყობს სხვა სუბიექტების მიერ ამგვარი პროგრამების განხორციელებას;
1.7.12. სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბების, მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წინადადებების და ინფორმაციის მომზადება;
1.7.13. სიღარიბის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრასთან, სოციალური რისკების განეიტრალებასთან და ხანდაზმული მოქალაქეებისათვის ღირსეული სიბერის უზრუნველყოფასთან, ეფექტიანი და ფინანსურად მდგრადი სოციალური დახმარებების სისტემის განვითარებით მოწყვლადი ჯგუფების საარსებოდ აუცილებელი ფულადი შემოსავლებით და სოციალური სერვისებით უზრუნველყოფასთან, შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა) პრევენციული, სარეაბილიტაციო და ალტერნატიული მომსახურებასთან, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ და მიუსაფარ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან საკითხებისა და ინფორმაციის მომზადება;
1.7.14. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სოციალური პირობების გავლენის შესწავლა;
1.7.15. დემოგრაფიული პროცესების ინფორმაციული ბანკის შექმნა;
1.7.16.მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ეკონომიკური აქტივობის სტატუსის (დასაქმების, უმუშევრობის) საინფორმაციო ბანკის შექმნა;
1.7.17. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მუშაობის (უბნების მიხედვით) ხელშეწყობა მათ უფლებამოსილების ფარგლებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით (წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე შესაბამისი ინფორმაციისა და დასკვნის მიწოდება).
1.7.18. სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად;
1.7.19. ყველა სხვა საქმიანობა, რაც არ არის აკრძალული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის.

1.8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის დავალებით ან შესაბამის უბანში ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე:
ა) წარადგენს ინფორმაციას შესაბამის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;
ბ) წარადგენს წინადადებებს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

გ) უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის კავშირს საკრებულოსთან, მერიასთან და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებთან;
დ) მონაწილეობს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენაში, ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ; ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისათვის ბიუჯეტის პროექტის გაცნობას და საჯარო განხილვებს; ახორციელებს ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსახლეობის შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაციას და მერისათვის მათ მიწოდებას;
1.9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის დავალებით ან შესაბამის უბანში ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე წარადგენს ინფორმაციას:
ა) მოსახლეობის რაოდენობის შესახებ;
ბ) პირების დაბადებისა და გარდაცვალების და ამ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ;
გ) უძრავ ნივთზე ფიზიკურ პირთა უფლებების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ;
დ) დასაქმებისა და მიგრაციის შესახებ;
ე) იმ პირთა შესახებ, რომელთა დახმარება ხდება სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან;
ვ) ჩასახლებული ეკომიგრანტებისა და დევნილების რაოდენობის და მათი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პირობებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ;
ზ) მოსახლეობის ელექტროენერგიით, გაზით, შეშითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ;
თ) სოციალური (ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, დასვენების, კეთილმოწყობის და სხვა) და ინფრასტრუქტურის ობიექტების (გზები, ხიდები, სტიქიისაგან დამცავი ნაგებობები და სხვა) მდგომარეობისა და მათ სარეაბილიტაციოდ პირველ რიგში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.
ე) სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.
მ) სხვა ღონისძიებების გატარება, რომელიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

1.10. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.
1.11. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 2
საზოგადოების დამფუძნებელი

2.1. საზოგადოების დამფუძნებელი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ქალაქი ფოთის მუნიციპალიტეტი (საიდენტიკიფიკაციო კოდი **215138143**, თვითმმართველი ერთეულების

რეესტრში რეგისტრაციის თარიღი 04.12.2006 წელი, მისამართი საქართველო, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N12. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის- ქალაქის ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია, (პირადი ნომერი 42001005705, მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, წმინდა გიორგის ქუჩა N35).

მუხლი 3. საზოგადოების მართვა

საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელი (ქალაქ ფოთის მუნიპალიტეტის მერი, საკრებულო), რომელიც:

3.1.იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად საზოგადეობის ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის შესახებ;

3.2. ისმენს საზოგადოების დირექტორის ანგარიშს,

3.3. იღებს გადაწყვეტილებას უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების, სესხის აღების, თავდებობის შესახებ;

3.4. მე-3 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტებში მითითებული უფლება- მოვალეობის გარდა სხვა უფლება-მოვალეობებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს დირექტორი.

მუხლი 4
საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

4.1. საზოგადოების ხელმძღვანელია - დირექტორი, რომელიც ინიშნება/თავისუფლდება ქალაქ ფოთის მუნიპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

4.2. დირექტორი ახორციელებს ყველა უფლება-მოვალეობას და პასუხს აგებს ორგანიზაციის შემოქმედებითი და ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობაზე, სახელშეკრულებო, საფინანსო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის დაცვაზე.

4.3. დირექტორი ხელს აწერს წლიურ ანგარიშებს, ბალანსებს და სხვა დოკუმენტებს. ამტკიცებს სამუშაო გეგმას.

4.4. დირექტორი გასცემს რწმუნებებს და მინდობილობებს სხვადასხვა სახის ხელშეკრულებათა განსახორციელებლად.

4.5. დირექტორი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ასიგნებისა და ზედა ზღვარის ფარგლებში ქალაქ ფოთის მუნიპალიტეტის მერთან შეთანხმებით განსაზღვრავს საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ სარგოებს.

4.6. დირექტორი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად დებს შრომით ხელშეკრულებებს დასაქმებულთან, განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებას.

4.7. დირექტორი გამოსცემს ბრძანებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

4.8. დირექტორი ადგენს სპეცშემოსავლების ხარჯთაღრიცხვას და წარუდგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს.

4.9. დირექტორი ვალდებულია ყოველ 3 თვეში წარუდგინოს ქალაქ ფოთის მუნიპალიტეტის მერს, საკრებულოს ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ, ასევე სხვა მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია დაწესებულების საქმიანობასთან.

4.10. საზოგადოების ზედამხედველობასა და საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური.

4.11. საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი.

მუხლი 5
დამფუძნებელის და წევრების უფლებები და მოვალეობები

დამფუძნებელის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის (ქალაქ ფოთის მუნიპალიტეტის მერის, საკრებულოს) უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამავე წესდებით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6
საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

6.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.
6.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
6.4. დამფუძნებელის გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
6.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას.
ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
6.6 აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელს, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.
6.7. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი არ განსაზღვრავს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.
6.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.
6.9. ლიკვიდაციაზე და რეორგანიზაციაზე გადაწყვეტილებას ღებულობს დამფუძნებელი, ხოლო შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებს დირექტორი.

მუხლი 7
დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის დამფუძნებლის უფლებამოსილი პირის (ქალაქ ფოთის მუნიპალიტეტის მერი) მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
7.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
7.3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი **გოჩა კურდღელია**